22470000 204389447

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2

თბილისი

"04" "02" 2011წელი

შემსყიდველი ---------- [illegible]

მისამართი: ---------- [illegible],

საბანკო რეკვიზიტები: [illegible] LBRTGE22, [illegible] GE15LB0121 1183

04258 0000

მიმწოდებელი: შ.პ.ს. "ლემო "
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ს.ჩიქოვანის 24ა
ხელმძღვანელი: დირექტორი ნუგზარ მაჭავარიანი
საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი" LBRTGE22 GE38LB0113172251142000
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204389447

ერთის მხრივ – შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

"დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის" მიწოდება.

2. მხარეთა მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
2.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შეთანხმებული ფასების და ვადების შესაბამისად.
2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციით.
2.4 მიმწოდებელი ვალდებულია გამოცვალოს უხარისხო (წუნდებული) საქონელი.
2.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
2.6 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუანაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება, საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 45,00 (ორმოცდახუთ) ლარს
3.2 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
4.3 გადაცემის თარიღად ითვლება სასაქონლო ზედნადებზე ხელის მოწერის თარიღი.

5. ხარისხი

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6. მიწოდების წესი

6.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმებას.
6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი სასაქონლო ზედნადებზე ხელის მოწერიდან 5 დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის ვადაში უზრუნველყოს მისი გამოცვლა.
6.4 შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ორივე მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები ჯარიმდებიან ხელშეკრულების საერთო თანხის 50%-ით.

8. ფორს–მაჟორი

8.1 ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავისი მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

9.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

9.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.5 ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მიხედვით.

9.6 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

9.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლიდან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 12.01.11—25.02.11-ის ჩათვლით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის კოორდინატები:	მიმწოდებლის მხრიდან შპს "ლემო"-ს დირექტორი ნუგზარ მაჭავარიანი